ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 134

ქალაქი ქუთაისი 26 დეკემბერი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის,
განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის
ინფორმაცია გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ინფორმაცია მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის თაობაზე.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ინფორმაცია გაწეული მუშაობის თაობაზე წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის

№ 134 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის,

განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის

ინფორმაცია გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია შედგება 8 წევრისგან. მიმდინარე წელს ჩატარდა კომისიის 11 სხდომა, სადაც განხილული იქნა 20 საკითხი, რომლებზეც კომისიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები და შეიმუშავა დასკვნები. აღნიშნულ კომისიის სხდომებზე მიღებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, როგორიცაა ახალგაზრდული საკონსულტაციო საბჭოს შექმნა, ბაგა-ბაღების ნორმატიული აქტების შემუშავება. ახალგაზრდული საბჭოს შექმნა – ეს არის ახალგაზრდებისთვის დიდი მოტივაცია, რადგან შეძლებენ თავად ჩაერთონ ქალაქში მიმდინარე სერიოზულ პროცესებში და მიიღონ გამოცდილება. კომისიამ მოისმინა სხვადასხვა ა(ა)იპ-ის ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ. ესენია:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი“;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღი“;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ბაგა-ბაღების გაერთიანება“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, მიმდინარე წელს მიიღო 100 მოქალაქე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია აქტიურად იყო ჩაბმული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში. კომისიის ინიციატივით მოხდა თანხების გაზრდა და შემცირება ამა თუ იმ პროგრამებთან დაკავშირებით. კერძოდ:

1. პროგრამიდან ამოღებულ იქნა მოქმედი, ყოფილი და გარდაცვლილი სპორტსმენების, სპორტის დამსახურებული მუშაკებისა და მწვრთნელების ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რადგანაც აღნიშნული პროგრამა სოციალურ საკითხთა სამსახურის კომპეტენციას მიეკუთვნება;

2. ამოღებულ იქნა ქალაქ ქუთაისის ღია ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში მოყვარულთა შორის (ფასიანი საჩუქრების შეძენა), რადგანაც პროგრამაში მუხლობრივად გათვალისწინებულია სხვა მსგავსი საჭადრაკო ტურნირები;

3. კომისიას მიაჩნია, რომ 94-ე სპორტული სკოლისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება მთლიანად არის ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ პრეროგატივა, შესაბამისად, რეკომენდირებულად მიიჩნია აღნიშნული პროგრამის ამოღება ღონისძიებათა ჩამონათვალიდან;

4. ტექნიკური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდება წყალბურთში ტურნირის ჩატარება, შესაბამისად, ამოღებულ იქნა 2018 წლის სპორტის ღონისძიებების პროგრამის ჩამონათვალიდან;

5. მომართვიდან გამომდინარე, საქალაქო ღონისძიებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სპორტსმენთა შორის (ფასიანი საჩუქრების შეძენა), დაემატა ახალი სპორტის სახეობები: მკლავჭიდი, წოლმჭიმი, ნარდი. პროგრამას დაემატა 1500 ლარი და განისაზღვრა 6500 ლარით;

6. ჟურნალ „მერმისისა“ და გაზეთი „უქიმერიონის“ გამოცემა გაერთიანდა და მათი საერთო ბიუჯეტი განისაზღვრა 10 000 ლარით (გაერთიანების შედეგად დაიზოგა 2 000 ლარი);

7. მხატვართა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით ტენდერი გამოცხადდა, შესაბამისად, საჭირო გახდა მემორანდუმის გაუქმება;

8. ამოღებულ იქნა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ქალაქ ქუთაისის ი.გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის პროექტი, გადავიდა განათლების პროგრამაში და გაერთიანდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საქალაქო ღონისძიებებთან;

9. თანამედროვე ლიტერატურის განვითარება და პოპულარიზაციის (ლიტერატურული საღამოები, კონკურსები) პროგრამიდან ამოღებულ იქნა წიგნებისა და ალმანახების გამოცემა, ხოლო, თანხა განისაზღვრა 10 000 ლარის ოდენობით;

10. გაფორმდა მემორანდუმი: საჯარო სკოლების მოსწავლეთა თეატრალური ფესტივალი (სპექტაკლების ჩვენება და გამარჯვებულების დაჯილდოვება ნომინაციების მიხედვით);

11. „SOS“ ბავშვთა სოფლის მხარდაჭერის პროგრამას მოაკლდა 30 000 ლარი და დაფინანსდა მხოლოდ განათლების მიმართულებით, აქამდე, ამ მუხლიდან ფინანსდებოდა სოციალური საკითხებიც.

მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე, ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა, აქედან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიას მიაჩნია, რომ პრიორიტეტული უნდა გახდეს ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა, აქედან გამომდინარე, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის მუხლი განისაზღვრა 100 000 ლარით, ხოლო, ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების ჩამონათვალიდან ამოვიდა შემდეგი პროგრამები: ანიმაციური ფილმების ფესტივალი, ტრეინინგ-სემინარების მოწყობა, გაეროს მოდელირება, საერთაშორისო ბანაკი და კონფერენცია, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საჭიროებების კვლევა და ფუნქციურად გაერთიანდა ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის მუხლში.

2018 წლის ახალგაზრდობის საქმეთა ღონისძიებების პროგრამის „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ ქვეპუნქტიდან განხორციელებული და მიმდინარე პროექტებია:

1. ა(ა)იპ „ანასეული“ (ანა ბაქანიძე) „ქუთაისი – კულტურის და განათლების ქალაქი“ – 5950 ლარი;

2. World Vision international (დავით ჩხობაძე) პროექტი „ეს არ არის ჩემი არჩევანი“ – 5350 ლარი;

3. სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“ (ეკატერინე მარუქაშვილი) „ქუთაისის ახალგაზრდული საკრებულო“ – 7500 ლარი;

4. ა(ა)იპ საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია „მოსწავლე მეწარმეები“ – 10 000 ლარი.

შენიშვნა: წინამდებარე ინფორმაცია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-15 სხდომაზე, მ/წლის 26 დეკემბერს, წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის თავმჯდომარის, ოთარ ლორთქიფანიძის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია